ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა: კინომცოდნეობა
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**
პროგრამის დასახელება	**კინომცოდნეობა**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	კინომცოდნეობის მაგისტრი Master of Film Studies
სწავლების ენა	**ქართული**
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	4 სემესტრი/120 კრედიტი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს და განახლებულია 2023 წელს. პროგრამა განახლებადია ყოველ სასწავლო წლის დაწყებამდე.
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	ასოცირებული პროფესორი ნინო მხეიძე, პროფესორი გიორგი გვახარია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

მაგისტრატურაში მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის (გასაუბრების) საფუძველზე, რომლის დროსაც შეფასდება კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენცია (მინიმუმ B2 დონე). პროგრამაზე ჩაბარებისას, კანდიდატს მოპოვებული უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

დეტალური ინფორმაცია შიდასუნივერსიტეტო გამოცდის პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია „პროგრამაზე მიღების დოკუმენტში“და თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.iliauni.edu.ge.

პროგრამის მიზნები

კინომცოდნეობის პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალი, რომელიც აღჭურვილია მსოფლიოსა და ქართული კინოს ისტორიის, თეორიის, მისი პრაქტიკული ასპექტებისა და თანამედროვე ტენდენციების შესახებ სისტემური ცოდნით, კინონაწარმოების სიღრმისეული ინტერპრეტაციისა და კრიტიკის უნარით და შეუძლია კინომცოდნეობის დარგში კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება შესაბამისი კონცეპტუალური მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით.

სწავლის შედეგები

<u>პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:</u>

1. ***ავლენს ღრმა და სისტემურ ცოდნას კინოს ისტორიისა, თეორიის და კინომცოდნეობის დარგში მიმდინარე თანამედროვე სამეცნიერო დისკუსიის შესახებ;***

2. ავლენს ღრმა და სისტემურ ცოდნას თანამედროვე კინოში მიმდინარე პროცესებისა და ტენდენციების შესახებ;
3. ავლენს კომპლექსურ ცოდნას კინოენის, მისი ესთეტიკური მხარის და კინოკრიტიკის თანამედროვე ასპექტების შესახებ;
4. შეუძლია შეაფასოს ქართული კინოს სპეციფიკა და მნიშვნელოვნება მსოფლიო კინემატოგრაფის კონტექსტში და განიხილოს ის ინტერდისციპლინარულ ჭრილში (კინოს როლი პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტში);
5. შეუძლია თანამედროვე კინოს პრობლემატიკის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება შესაბამისი მეთოდების, კონცეპტუალური მიდგომების გამოყენებით მულტიდისციპლინური კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით;
6. შეუძლია, შესაბამის თეორიულ კონტექსტში/ჩარჩოში, მოახდინოს ქართული და მსოფლიო კინოს ინტერპრეტაცია/კრიტიკა, თანამედროვე მიდგომებისა და პრინციპების გამოყენებით;
7. შეუძლია სწავლის საჭიროებების დამოუკიდებლად განსაზღვრა, სწავლის პროცესის დაგეგმვა და წარმართვა.

სწავლების მეთოდები

- ლექცია;
- სემინარი;
- პრაქტიკული მეთოდი;
- ანალიზის და სინთეზის მეთოდი;
- პროექტები;

- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- რეფლექსია;
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა.

სასწავლო კომპონენტების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელებისას, შესაძლოა გამოიყენებოდეს სწავლების სხვა მეთოდებიც, რომლებიც წარმოდგენილია კონკრეტული კურსების სილაბუსებში.

პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, რომელიც გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- სავალდებულო კურსები, კოდით CINCINGEN - 54 კრედიტი
- სავალდებულო-არჩევითი კურსები, კოდით CINCIN - 30 კრედიტი
- არჩევითი კურსი ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამიდან -6 კრედიტი
- სამაგისტრო ნაშრომი, კოდით CINCINGEN - 30 კრედიტი

შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: *შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.*

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს:

- შესაბამისი პროფილის სახელოვნებო ორგანიზაციებში;
- კულტურის ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- კინოთეატრებსა და კინოკომპანიებში, კინოსტუდიებში, ტელევიზიებში, რადიოში, ბეჭდვით (მათ შორის, გამომცემლობებში) და ციფრულ მედიაში;
- კინოფესტივალებზე;
- არქივებში;
- ხელოვნების საერთაშორისო და ადგილობრივ შემოქმედებით მოკლევადიან და გრძელვადიან პროექტებში;
- საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრში;

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია გააგრძელოს სწავლა სადოქტორო საფეხურზე.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „არგუსი“;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა E-learning და მასში ინტეგრირებული პროგრამა Turnitin
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები - ScienceDirect, Scopus, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Clarivate Analytics, SAGE, Cambridge Journals, Directory Of Open Access Journals და სხვა);
- უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრები;
- სალექციო აუდიტორიები;
- აკადემიური წერის ცენტრი: https://writingcentre.iliauni.edu.ge/ge/
- ხელოვნების განვითარების ფონდი;
- საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი.